საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-916

24/06/2021

ქ. თბილისი

„შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის II ეტაპის (უბანი „თეთრიწყარო-წალკა“) პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 4 ივნისის №2-819 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ დირექტორის 2021 წლის 20 მაისის მომართვის საფუძველზე და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად გაცემული იქნა №2-819 (04.06.2021) და №2-788 (31.05.2021) ბრძანებები ერთიდაიგივე შინაარსით. შესაბამისად, საჭიროა გაუქმდეს №2-819 (04.06.2021) ბრძანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის II ეტაპის (უბანი „თეთრიწყარო-წალკა“) პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 4 ივნისის №2-819 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი